ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა

კომისიის სხდომა

ოქმი N 02

დ.ლენტეხი **19 თებერვალი 2025 წ.**

მ/წ 19 თებერვალს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი, წევრები: ამირან ქურასბედიანი, მევლუდ ლიპარტელიანი, მირიან ლიპარტელიანი და მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი ბაჩუკი გაზდელიანი.

კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. **ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.**

/მომხს: საკრებულოს ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი/

მომხსენებელმა დ. ტვილდიანმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის შესახებ, რომელიც დღეის მდგომარეობით შეადგენს 3,36 ლარს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისიის წევრებისგან არის მოსაზრება გაიზარდოს მიწის ნორმატიული ფასი, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ 10 წელზე მეტია არ შეცვლილა ეს ფასი, როცა ქვეყანაში მუდმივად იცვლება (იზრდება) ფასები ყველაფერზე.

საკრებულოს წევრებმა ამირან ქურასბედიანმა და მევლუდ ლიპარტელიანმა აღნიშნეს, რომ ნამდვილად დროულია ამ საკითხზე მსჯელობა. გასაყიდი მიწები ძალიან ნაკლებად არის ჩვენს მუნიციპალიტეტში, მაგრამ როცა იქნება შედარებით ფასიც მისაღები უნდა იყოს.

გარკვეული მსჯელობის შემდეგ შეჯერდნენ, რომ K კოეფიციენტი გაიზარდოს 50 - დან 80-მდე. შესაბამისად

CN = 0, 28 x 1 x 0,24 x 80 = 5, 38

1. **დაბა ლენტეხისთვის მიწის ნორმატიული ფასი გახდება - 5, 38;**

2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი გახდება დაბა ლენტეხში დადგენილი ფასის 40 % - და იგი შეადგენს - 2,15-ს;

3. ლენტეხის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალში მიწის ნორმატიული ფასი გახდება დაბა ლენტეხში დადგენილი ფასის 30 % და შეადგენს - 1, 6-ს.

4. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N-407 დადგენილებიოთ განსაზღვრულ მიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია დაბა ლენტეხისთვის დადგენილი ფასის 80%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 4. 30-ს.

სხდომა დასრულდა 12 საათსა და 30 წუთზე.

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების

კომისიის თავმჯდომარე: /დ.ტვილდიანი/